

THE INFLUENCE OF REMINISCENCES OF THE PAST AND THE MORAL AND  
POLITICAL MEANING OF CLEMENCY ACCORDING TO THE TRAGEDY „CINNA” BY  
PIERRE CORNEILLE

წარსულის რემინისცენციების გავლენა და გულმოწყალების მორალური და  
პოლიტიკური მნიშვნელობა პიერ კორნელის ტრაგედია „ცინას” მიხედვით

**Tamar Antia**

PhD student of Akaki Tsereteli State University,  
Kutaisi, Tamar Mepe street 59, 4600, Georgia,  
+995592128378, tamarantia@gmail.com  
<https://orcid.org/0009-0007-7349-8312>

**Abstract.** Pierre Corneille's tragedy „Cinna” the full title -, Cinna or the clemency of Caesar Augustus” („Cinna ou la Clémence d'Auguste”), indicates that the main purpose of the tragedy is not to focus on the conspiracy organized by Cinna against Emperor Augustus but the clemency of the Emperor Augustus, which he showed towards the conspirators.

The moral essence of the tragedy "Cinna" is clemency of the first person of the state – the monarch. Clemency expresses the preference of public peace over the evils caused by anarchy.

According to "Cinna", clemency is the highest virtue, praised even by the gods themselves. The greatness of the soul of Emperor Augustus is due to clemency.

In favor of state interests, the emperor forgets his personal grudges and in this way will finally win the hearts of his opponents. A humane, benevolent state ruler deserves the respect, love and loyalty of his subjects. The clemency of Augustus has a beneficial effect on Cinna and the rest of the conspirators and strengthens the sovereign's power. Thus, in the tragedy „Cinna” Pierre Corneille showed us that the clemency of the ruler of the country is the highest virtue, which is the basis of the peaceful and harmonious development of the state.

The clemency of the emperor Augustus is a universal example for statesmen to rise above their own ambitions, achieve spiritual catharsis, and be lenient and merciful to their subjects. That is why Pierre Corneille's "Cinna" is considered not only a masterpiece of French classicist tragedy, but also one of the most humane works in the history of Western European literature.

**Key words:** Pierre Corneille, „Cinna”, Clemency, French classicist tragedy conspiracy, Emperor Octavian Augustus.

თამარ ანთია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
ქ. ქუთაისი, თამარ მეფის 59, 4600, საქართველო,  
+995592128378, tamarantia@gmail.com  
<https://orcid.org/0009-0007-7349-8312>

**აბსტრაქტი.** პიერ კორნელის ტრაგედია „ცინას“ სრული სახელწოდება - „ცინა ანუ ავგუსტუსის გულმოდგინება“ („Cinna ou la Clémence d'Auguste“) მიუთითებს, იმაზე, რომ ტრაგედიის მთავარი მიზანია არა შეთქმულებაზე ყურადღების გამახვილება, რომელიც ცინამ იმპერატორ ავგუსტუსის წინააღმდეგ მოაწყო, არამედ იმპერატორ ავგუსტუსის გულმოდგინების ჩვენება, რაც მან შეთქმულთა მიმართ გამოიჩინა.

ტრაგედია „ცინას“ მორალური არსი სახელმწიფოს პირველი პირის - მონარქის გულმოდგინებაა. გულმოდგინება გამოხატავს საზოგადოებრივი სიმშვიდის უპირატესობას ანარქიით გამოწვეულ ბოროტებასთან შედარებით.

„ცინას“ მიხედვით გულმოდგინება არის უმაღლესი სათნოება, რომელსაც თვით ღმერთებიც კი განადიდებენ. იმპერატორ ავგუსტუსის სულის სიდიადეს სწორედ გულმოდგინება განაპირობებს. სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ იმპერატორი პირად წყენას ივიწყებს და ამ გზით საბოლოოდ მოიგებს მოწინააღმდეგეთა გულს. ჰუმანური, გულმოდგინე სახელმწიფოს მმართველი ქვეშევრდომთა პატივისცემას, სიყვარულსა და ერთგულებას იმსახურებს. ავგუსტუსის გულმოდგინება ცინასა და დანარჩენ შეთქმულებზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს და აძლიერებს მისი, როგორც სუვერენის ძალაუფლებას.

იმპერატორ ავგუსტუსის გულმოდგინება უნივერსალური მაგალითია სახელმწიფოთა მმართველთათვის თუ როგორ უნდა ამაღლდნენ საკუთარ ამბიციებზე, მიაღწიონ სულიერ კათარზისს და იყონ ღმობიერნი და მოწყალენი თავიანთ ქვეშევრდომთა მიმართ. სწორედ ამიტომ, პიერ კორნელის „ცინა“ მიიჩნევა არა მხოლოდ ფრანგული კლასიციზტური ტრაგედიის შედეგად, არამედ ერთერთ ჰუმანურ ნაწარმოებად დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ისტორიაში.

ამგვარად, პიერ კორნელმა ტრაგედია „ცინაში“ გვიჩვენა, რომ ქვეყნის მმართველის გულმოდგინება არის უმაღლესი სათნოება, რომელიც სახელმწიფოს მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საფუძველია.

**საკვანძო სიტყვები:** პიერ კორნელი, „ცინა“, ფრანგული კლასიციზტური ტრაგედია, ოქტავიანე ავგუსტუსი, გულმოდგინება, შეთქმულება.

**შესავალი.** პიერ კორნელმა ტრაგედია „ცინა“ („Cinna“) 1641 წელს შექმნა. ტრაგედია პირველად პარიზში, მარეს თეატრში (Théâtre du Marais) დაიდგა, ხოლო გამოქვეყნდა ორი წლის შემდეგ, 1643 წელს.

პიერ კორნელი „ცინას“ სიუჟეტს დაესესხა რომაელი ფილოსოფოსის- სენეკას ტრაქტატს „მოწყალეების შესახებ“, კერძოდ, ტრაქტატის IX თავს, სადაც სენეკა მკაცრ და შეუვალ ოქტავიანე ავგუსტუსს მოწყალეების სიკეთეზე ესაუბრება.

„ცინა“, როგორც ამას კლასიციზმის ესთეტიკა მოითხოვს, ნამდვილ ამბავზეა აგებული. ტრაგედია „ცინას“ მთავარ მოქმედ პირთა ისტორიული პროტოტიპები

გახლავთ დიდი რომაელი გენერლის - პომპეუსის შვილიშვილი ცინა და რომის იმპერატორი- ოქტავიანე ავგუსტუსი.

ტრაგიკული ჟანრის შესაბამისად „ცინას“ სიუჟეტი „განსაკუთრებული, „პარადოქსული, არაჩვეულებრივი და სერიოზულია“- „illustre, extraordinaire, sérieux“ (Corneille, 1999: 73).

ტრაგედიას „ცინა“ ეწოდება იმიტომ, რომ მასში გადმოცემულია შეთქმულების ამბავი, რომლის ინიციატორი და ლიდერია პიესის მთავარი მოქმედინ პირი-ცინა. სათაურს „ცინა“ („Cinna“), ავტორმა დაამატა ქვესათაური „ავგუსტუსის გულმოწყალება“ („la Clémence d'Auguste“), რომელიც მიუთითებს ნაწარმოების მთავარ მიზანს. ტრაგედიის მიზანია არა შეთქმულებაზე ყურადღების გამახვილება, არამედ იმპერატორ ავგუსტუსის გულმოწყალების ჩვენება, რომელიც მან შეთქმულთა მიმართ გამოიჩინა.

პ. კორნელი ცდილობდა შეექმნა ტრაგედია, რომელიც იქნებოდა მშვენიერიც და მორალურად ამაღლებულიც, ამიტომ მან „ცინაში“ გვიჩვენა არა მრისხანება და შურისძიება, რაც ასე შორს არის სათნოებისაგან, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლის გულმოწყალება (Sengler, 1885: 267).

ტრაგედია „ცინას“ მორალური არსი სახელმწიფოს პირველი პირის - მონარქის გულმოწყალებაა. გულმოწყალება გამოხატავს საზოგადოებრივი სიმშვიდის უპირატესობას ანარქიით გამოწვეულ ბოროტებასთან შედარებით.

პიერ კორნელმა „ცინაში“ დახატა რომაული სიდიადე, მან პოლიტიკა დაუქვემდებარა გონიერებას და გვიჩვენა სიღრმისეული განსჯის უპირატესობა, რაც სახელმწიფო მოღვაწეთა გაოცებას იწვევს. გმირული მოწყალება „ცინაში“ იმდენად კეთილშობილური და ამაღლებელია, რომ სიხარულის ცრემლებს მოგვკრით - აღნიშნავს სენგლერი (Sengler, 1885 : 262 -263).

„ცინას“ დიდ შეფასებას აძლევდნენ ისეთი დიდი ლიტერატურული მოღვაწეები როგორებიც იყვნენ ფონტენელი, ბუალო, ვოლტერი.

„ცინას“ უდიდეს წარმატებაზე მეტყველებს არა მხოლოდ დიდ მწერალთა და ლიტერატურათმცოდნეთა დადებითი შეფასებები, არამედ ისიც, რომ „ცინა“ არაერთხელ დაიდგა სცენაზე: ლუი XIV-ის დროს „ცინა“ 139-ჯერ დადგეს, აქედან 27-ჯერ- სამეფო კარზე; ლუი XV-ისა და ლუი XVI-ის დროს 135-ჯერ და ამთგან 31-ჯერ სამეფო კარზე, რევოლუციის დროს 7-ჯერ; 1798 წლიდან 1814 წლამდე „ცინა“ 130-ჯერ დადგეს პარიზში. 1814 წლიდან 1880 წლამდე „ცინა“ სულ 223-ჯერ დაიდგა. „ცინამ“ გახსნა 1808 წელს ნაპოლეონის მიერ ერფურტში შეკრებილ დიდებულთათვის ნაპოლეონის მიერ შეთავაზებული სპექტაკლების პროგრამა.

**მეთოდები.** სტატიაზე მუშაობისას მივმართეთ ჰერმენევტიკულ, ისტორიულ - შედარებითი ანალიზის, კრიტიკულ-ანალიტიკურ და კომპარატივისტულ მეთოდებს, ასევე თავად პიერ კორნელის მსჯელობებს დრამატურგიის საკითხებზე და საკვლევ საკითხთან დაკავშირებით არსებულ სამეცნიერო ლიტერატურულ შრომებს.

**შედეგები და მსჯელობა.** პ. ვენესონი ნაშრომში - „ცინა და კორნელისეული გმირობის ავატარები“ („Cinna et les avatars de l'héroïsme cornélien“) ამბობს, რომ პიერ კორნელის მკვლევრებსა თუ მოყვარულმა მკითხველებს „ცინა“ ყოველი წაკითხვისას ახალ-ახალ სიურპრიზებს სთავაზობს (Venesoen, 1991: 359). ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პ. ვენესონის მოსაზრებას. პიერ კორნელის ტრაგედიები ყოველთვის გაოცებას იწვევენ არა მხოლოდ თავიანთი სიდიადითა და მაღალმხატვრული ღირსებებით, არამედ მათში მოცემულ კონფლიქტთა მოულოდნელი გადაწყვეტითა და ე. წ. „ბედნიერი დასასრულით“. ტრაგიკულ კონფლიქტთა უსისხლო დასასრული პარადოქსების დიდოსტატ კორნელისათვის თითქოს უცნაური არ უნდა იყოს, მაგრამ ეს ხშირად დავის

საგანი გამხდარა პიერ კორნელის კრიტიკოსთა შორის. გამონაკლისი არც ტრაგედია „ცინას“ დასასრული გახლავთ, რომელმაც პიერ კორნელის სამ კრიტიკოსს - ა. ჟორჟ, რ. პომიესა და ს. ჟ. გოსიპს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მკვლევრები ვ. ლეინერი და ს. ბეინი „ცინას“ დასასრულის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო კომენტარებს გვთავაზობენ. პირველი თვლის, რომ ავგუსტუსის გულმოდგინება მისი მორალური განვითარებით აიხსნება, ხოლო მეორეს მიაჩნია, რომ ავგუსტუსის გულმოდგინება მის მიერ კარგად გაანგარიშებული პოლიტიკური გათვლის შედეგია, რაც სახელმწიფო ინტერესებითაა განპირობებული.

ზემოთხამოთვლილი მკვლევრები, მიუხედავად განსხვავებული თვალსაზრისისა, ერთხმად აღნიშნავენ, რომ ავგუსტუსის გულმოდგინება არის ერთდროულად დრამატული ეფექტი- „თეატრალური გადატრიალება“ და ღრმა მორალური მნიშვნელობის ქმედება, რომელიც ყოფიერების მთელ ფილოსოფიას გამოხატავს.

ვიდრე იულიუს კეისრის შეწყალების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ აუცილებელია ვისაუბროთ წარსულის რემინისცენციებზე, რომლის გავლენა „ცინას“ ყველა პერსონაჟის მეხსიერებაზე აისახება.

პირველი, რასაც „ცინას“ მკითხველი და მაცურებელი შეიგრძნობს, ეს არის წარსულ რემინისცენციათა სიმძიმე, რასაც ტრაგედიის ყველა მოქმედი პირი განიცდის. პერსონაჟებს შორი ცინა ერთადერთია, ვისზედაც წარსული გავლენას არ ახდენს, თუმცა მას კარგად ახსოვს თავისი დიდებული წინაპარი პომპეუსი. ჩვენი აზრით, ეს მეხსიერება მსუბუქი პოლიტიკური არგუმენტია, რომელსაც ცინა შეთქმულთა წინაშე წარმოთქვამს და თავის გამოსვლას ამთავრებს იმ კავშირის გახსენებით, რაც მას თავსი დიდებულ წინაპართან - პომპეუსთან აკავშირებს და აცხადებს, რომ მისი საქციელი ნაკარნახევია ამ დიდებული წარსული მაგალითით.

*Ainsi d'un coup mortel la victime frappée*

*Fera voir si je suis du sang du grand Pompée. (v. 237 -238)*

ასე რომ, როცა მსხვერპლს სასიკვდილო დარტყმას მივაყენებ,

ვაჩვენებ, ჩემს ძარღვებში ჩქეფს თუ არა დიადი პომპეუსის სისხლი.

ამ შემთხვევაში ცინა ხელმძღვანელობს შურისძიების ლოგიკით: სისხლი სისხლს ითხოვს. ცინა შურისძიებელი გმირის მხატვრული სახეა. მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ ცინას შურისძიებისთვის უფრო მნიშვნელოვანი მოტივი აქვს, როგორცაა ემილიას ხელის მოპოვება, მიუხედავად ამისა, შეხსენება იმის შესახებ, რომ იგი დიდი პომპეუსის შვილიშვილია, შურისძიებისათვის განსაკუთრებულ საბაზს წარმოადგენს.

II მოქმედებაში ცინას რეპლიკის შემდეგ, რითაც იგი ცდილობს ავგუსტუსი დაარწმუნოს დარჩეს სამეფო ტახტზე, მაქსიმე მას თავისი "წინაპრის პომპეუსის" მაგალითს შეახსენებს.

*Donc votre aïeul Pompée au ciel a résisté*

*Quand il a combattu pour notre liberté? (v. 563 -564)*

მაშ, თქვენი წინაპარი, პომპეუსი, ღმერთებს ეწინააღმდეგებოდა

როცა ჩვენი თავისუფლებისთვის იბრძოდა?

მაშინ, როცა ცინა ყოყმანობს, მოკლას თუ არა ავგუსტუსი, ემილია მას საყვედურობს, რომ იგი ღირსეული წინაპრის უღირსი მემკვიდრეა, რადგან მის იდეალებს დალატობს.

*Pardonnez-moi, grands dieux, si je me suis trompée*

*Quand j'ai pensé chérir un neveu de Pompée,*

*Et si d'un faux-semblant mon esprit abusé*

*A fait choix d'un esclave en son lieu supposé. (v. 1029 -1032)*

მომიტყვეთ, დიდო ღმერთებო, ვფიქრობდი,

რომ პომპეუსის შთამომავალი მიყვარდა,

თუმცა მან მომატყუა და მონობა აირჩია.(v. 1029 -1032)

როგორც ვხედავთ, ემილიასთვისაც მნიშვნელოვანია, ის თუ ვისი შთამომავალი მისი მიჯნური.

ტრაგედიის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ცინას“ ყველა მოქმედი პირისთვის წარსული ძალზედ მნიშვნელოვანია. V მოქმედებაში ავგუსტუსი ცინას კვლავ შეახსენებს, რომ ის პომპეუსის შთამომავალია.

Tu vois le jour Cinna ; mais ceux dont tu le tiens  
Furent les ennemis de mon père, et les miens:  
Au milieu de leur camp tu reçus la naissance;  
Et lorsqu'après leur mort tu vins en ma puissance,  
Leur haine enracinée au milieu de ton sein  
T'avait mis contre moi les armes à la main. (v.1435- 1440)

ცინა, კარგად იცი, ვისი შთამომავალიცა ხარ  
ისინი ჩემი და მამაჩემის მტრები იყვნენ;  
შენ მათ ბანაკში დაიბადე ;  
როცა მათი სიკვდილის შემდეგ ჩემი მფარველობა მიიღე,  
სიძულვილმა, რასაც ისინი ჩემს მიმართ განიცდიდნენ, ფესვები შენს წიაღშიც  
გაიდგა,

შენც ჩემს წინააღმდეგ შეიარაღდი.  
ცინა თავის წარმომავლობას არ უარყოფს:  
Seigneur, je suis Romain, et du sang de Pompée.  
Le père et les deux fils, lâchement égorgés,  
Par la mort de César étaient trop peu vengés. (v.1546- 1548)

მეფეო, მე რომელი ვარ, იმ პომპეუსის სისხლისა.

მამა და ორი ვაჟი ლაჩრულად რომ მოკლეს.

მათი მკვლელობისთვის შურის საძიებლად კეისრის სიკვდილი ცოტაა.

მაშინაც კი, როცა ცინა ემილის გადარჩენას ცდილობს შეთქმულებაში მისი მონაწილეობის რეალური მოტივის დამალვით, იგი ნაწილობრივ სიმართლეს ამბობს. ადვილი შესამჩნევია ის, რომ ემილიას წარსული მოსვენებას არ აძლევს. ქალი ფაქტობრივად შეპყრობილია იმ აზრით, რომ მამის, ტორანიუსის მკვლელობის გამო ავგუსტუსზე უნდა იძიოს შური. „ ბრწყინვალე შურისძიებას“ ( „illustre vengeance“ ) მას საკუთარი მეხსიერება ავალდებულებს. მამის „სისხლიანი სურათი“ („sanglante image“) მის „სევდიან მეხსიერებას“ არ ასვენებს და სწორედ ეს არის მისი „სიძულვილის მიზეზი „La cause de (...) haine“). ნათელია, ემილია შურისძიებითაა შეპყრობილი და უკანდახევას არ აპირებს.

წარსულის მოვლენების გახსენება ყველაზე მეტად მეფე ავგუსტუსის სახელს უკავშირდება. შეთქმულებთან თათბირის დროს ცინა იხსენებს იმ სისასტიკეს, რაც ავგუსტუსმა წარსულში ჩაიდინა:

(...) Toutes ces cruautés,  
La perte de nos biens et de nos libertés,  
Le ravage des champs, le pillage des villes,  
Et les proscriptions, et les guerres civiles,  
Sont les degrés sanglants dont Auguste a fait choix  
Pour monter sur le trône et nous donner des lois. ( v.215- 220)

(...) მთელი ეს სისასტიკე,

ჩვენი ქონების და ჩვენი თავისუფლების დაკარგვა,

მინდვრების განადგურება, ქალაქების მარცვა,

უფლებების შეზღუდვა, სამოქალაქო ომები,

ავგუსტუსი ამგვარი სისხლისღვრის გზით დამკვიდრდა ტახტზე და კანონები დაგვიწესა.



ზემოთმოყვანილი სიტყვები ადასტურებენ, რომ იმპერატორი ავგუსტუსი წარსულში ტირანი მმართველი იყო, რომელმაც საკუთარი აღმზრდელიც კი მოსაკლავად გაიმეტა. ცინა მას უწოდებს მხეცს, რომელსაც რომაელთა სისხლი სწყურია: „ce tigre altéré de tout le sang romain”. (v.168) („ამ ვეფხვს მთელი რომაული სისხლი სწყურია”).

როგორც ვხედავთ, ტრაგედიის ყველა მთავარი პერსონაჟი წარსულის ამბებს იხსენებს. ყველა მათგანი დაკავშირებულია წარსულთან. ემილია და ცინა ხდებიან შეთქმულები, რათა შური იძიონ იმ სასტიკ საქმეთა გამო, რაც ოქტავიანე ავგუსტუსმა წარსულში ჩაიდინა. წარსულში ჩადენილი საბედისწერო ამბები აწმყოში ტრაგიკული სიტუაციის წინაპირობას ქმნის. „ცინას” I მოქმედება დატვირთულია ავგუსტუსის სასტიკ საქმეთა მოგონებებით. ანაზად, ტრაგედიის II მოქმედებაში იმპერატორ ავგუსტუსის სახე ემილიასა და ცინას მიერ I მოქმედებაში აღწერილი იმპერატორის პირვანდელი სახისაგან სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგება. ძალაუფლებით დაღლილი ავგუსტუსი ტახტიდან გადადგომას გეგმავს. მისი ამ გადაწყვეტილების მიზეზი არის ის, რომ იმპერატორი ამქვეყნიური დიდებისა ძალაუფლების ამოვებას მთელი სისავსით შეიგრძნობს. ამ მიზეზს მიიღმა თუმცა სხვა მიზეზი იმალება. მთავარი მიზეზია ისაა, რომ იმპერატორი ცხოვრებისეულ კრიზისს განიცდის.

როგორც კ. ვენესონი აღნიშნავს, იმპერატორი გრძნობს იმას, რომ სამულველი ადამიანია, რომელსაც ატყუებენ და ემუქრებიან (Venesoen, 1991: 372). ს. დუბროვსკის აზრით მარტოსული, მიტოვებული ავგუსტუსი განიცდის ემოციურ სიცარიელეს:

„სურვილი იმისა, რომ გულწრფელად უყვარდეთ ავგუსტუსს გმირული ავტონომიის დაკარგვისაკენ უბიძგებს”. (Doubrovsky, 1963: 195).

მართლაც, ავგუსტუსს სჭირდება მეგობარი, ვისაც მისი ესმის და გაუგებს მას. ამიტომაც ეუბნება იგი ცინასა და მაქსიმეს:

Traitez-moi comme ami, non comme souverain.

მომექეცი ისე, როგორც მეგობარს და არა როგორც სუვერენს. (v. 399)

ზემოთმოყვანილი სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ ავგუსტუსი სულიერი მარტოობით იტანჯება. ცინასთან და მაქსიმესთან თათბირის შემდეგ ის თვლის, რომ შინაგანი სიმშვიდე მოიპოვა, რადგან დარწმუნებულია მათ გულწრფელ მეგობრობაში:

Je vois trop que vos coeurs n'ont point pour moi de fard! v.628)

აშკარად ვხედავ, არ თვალთმაქცობთ, ხართ გულწრფელები!

ტრაგედიის II მოქმედების I სცენაში პ. კორნელი იყენებს ტრაგიკული ირონიის ეფექტს და გვიჩვენებს, რომ ილუზიაში მყოფ ავგუსტუსს ჰგონია, რომ იგი მეგობრულად უყვართ. ღალატის გაგების შემდეგ, მისი რეაქცია იმედგაცრუების შესაბამისია, სასოწარკვეთილ იმპერატორს აღმოხდება:

Quoi ! Mes plus chers amis ! Quoi ! Cinna ! Quoi ! Maxime!

როგორ ! ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობრები! როგორ! ცინა და მაქსიმე! (v.1081)

აღსანიშნავია, რომ ავგუსტუსი სიტუაციას აანალიზებს არა პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ მომხდარს აფექტის დონემდე განიცდის. მოღალატეები შეიქნენ ისინი, ვისაც მან „გული“ გაუხსნა („À qui j'ouvrais mon coeur”- „მას ვისაც გულის კარი გავუხსენი”) და რომლებიც მან „აირჩია” („dont j'avais fait choix”- „რომლებიც მე ავირჩიე” მოქ.IV სცენა I ).

მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველია იმპერატორის უასოო წამოძახილი:

Ô trahison conçue au sein d'une furie !

Ô trop sensible coup d'une main si chérie. (v. 1097-1098)

ოი, მრისხანებისას ჩაფიქრებული ღალატი!

ოი, ძალიან მგრძნობიარე დარტყმა აგრერიგად ძვირფასი ხელიდან.

მონოლოგში, რომელსაც ავგუსტუსი IV სცენის, II მოქმედებაში წარმოთქვამს თვალნათლივ ჩანს, რომ იგი წარსულში ჩადენილ სისასტიკეს ნანობს:

Rentre en toi-même, Octave, et cesse de te plaindre.  
 Quoi ! tu veux qu'on t'épargne, et tu n'as rien épargné !  
 Songe aux fleuves de sang où ton bras s'est baigné,  
 De combien ont rougi les champs de Macédoine'' (v.1130-1133)

„საკუთარ თავში ჩაიხედე ოქტავიუს და შეწყვიტე წუწუნნი,  
 როგორ! გინდა რომ შიგიბრალონ, განა შენ ვინმე შეიბრალე!  
 იფიქრე სისხლის მდინარეებზე, რომლითაც განზანე შენი ხელები, თუ როგორ  
 გადააწითლე მაკედონიის მინდვრები.

სიტყვები „Rentre en toi-même” - „საკუთარ თავში ჩაიხედე” მიანიშნებს, იმას, რომ ავგუსტუსი უსმენს საკუთარი სინდისის ხმას და განიცდის წარსულში მის მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს, თუმცა საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და საკუთარ სინდისთან დიალოგის შემდეგ მას ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია თავი მოიკლას, თუ სიკვდილით დასაჯოს შეთქმულნი.

ტრაგედიის ბოლო, V მოქმედებაში დრამატული მოძრაობა აჩქარებულია. V მოქმედების I სცენა სიღრმისეული მნიშვნელობის მქონეა. ამ სცენაში ნაჩვენებია, რომ ავგუსტუსი არ შეცვლილა, ის იგივე ადამიანია, ვინც ადრე იყო, ამაყი სუვერენი, რომლის სიძულვილი ცინაზე გამანადგურებლად მოქმედებს. რაც შეეხება V მოქმედების II სცენას, სადაც ავგუსტუსს ემილიას ღალატის შესახებ შეიტყობს, იმპერატორი თავს შვილებისგან დამცირებულ მამად გრძნობს, იგი ემილიას თავის ქალიშვილ იულიას ადარებს და სინანულით ამბობს:

L'une m'ôtait l'honneur, l'autre a soif de mon sang ;  
 Et prenant toutes deux leur passion pour guide,  
 L'une fut impudique et l'autre est parricide.  
 Ô ma fille ! Est-ce là le prix de mes bienfaits? (v. 1592-1595)

ერთმა პატივი და ღირსება შემიღახა, მეორეს ჩემი სისხლი სწყურია;  
 ორივენი ვნებას არიან აყოლილნი. ერთი მრუშია,~  
 მეორე კი- მამის მკვლელი. ო, ასულო, ჩემო, ასე მიხდი სამაგიეროს?  
 ავგუსტუსი ემილიას იმასაც შეახსენებს, თუ როგორი სიყვარულით აღზარდა და როგორ ზრუნავდა მასზე:

Songe avec quel amour j'élevai ta jeunesse. (v. 1097)  
 იმაზე იფიქრე, ყრმობიდანვე თუ რა სიყვარულით გზრდიდი.

თავდაპირველად იმპერატორს სურს დასაჯოს ემილია და ცინა, „უმაღური და მზაკვარი წყვილი“ („le couple ingrat et perfide”). შემდეგ კი ავგუსტუსი ერთხანს ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იგი შეძრულია ემილიას ღალატით. იმპერატორის სიჩუმე მოასწავებს იმ ცვლილებებს, რაც მის სულში ხდება. ყველაზე ბოლოს ავგუსტუსი მაქსიმეს ღალატის შესახებ შეიტყობს. ტრაგედიის ეს ეპიზოდი პიერ კორნელს დიდი ოსტატობით აქვს აღწერილი. ავგუსტუსი მაქსიმეს მიიღებს ისე, როგორც ერთგულ მეგობარს, თავის უკანასკნელ იმედს:

Approche, seul ami que j'éprouve fidèle! v.1665)  
 მომიახლოვდი, ჩემო ერთადერთო ერთგულო მეგობარო!

როცა მაქსიმე აღიარებს, რომ ისიც გარეულია ღალატში, იმპერატორი სრულიად მარტო რჩება. მის ირგვლივ არ იმყოფება არცერთი ერთგული ადამიანი. სწორედ მაშინ გადაწყვეტს იგი შეთქმულთა შეწყალებას.

ს. დუბროვსკის აზრით: „ავგუსტუსი შეწყალების გადაწყვეტილებას იღებს არა ქველმოქმედების ან დიდსულოვნებისა გამო, არამედ არისტოკრატიული სიამაყის გამო, როგორც ეს ესმოდათ XVII საუკუნეში რათა საკუთარი უპირატესობა დაემტკიცებინა არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვათა წინაშეც” ( Doubrovsky. 1963: 214 ).

კ. ვენესონი მიიჩნევს, რომ ავგუსტუსის სულში „მამაკაცური ჰეროიზმი ადგილს უთმობს ქალურ მგრძობილებას, რაც მის გულმოდგინებას იწვევს” (Venesoen, 1991: 373).

ლ. ერნანი აღნიშნავს, რომ გულმოწყალება ავგუსტუსის პირადი გადაწყვეტილება როდია, მიტევების მაძლი მას ყოვლისშემძლე ღმერთმა მიმადლა (Herland, 1961: 113-126).

ჩვენი აზრით, ზემოთჩამოთვლილი მიტვიცებულებები იმპერატორ ავგუსტუსის შეწყალების არსის გასარკვევად არასრულყოფილია. პიერ კორნელი, მთელი ტრაგედიის მანძილზე, ჩვეული ოსტატობით, დინამიკაში გვიჩვენებს იმპერატორ ავგუსტუსის სულიერ განვითარებასა და ფერისცვალებას. იმპერატორში ორი ადამიანი- სასტიკი ოქტავიანე და გულმოწყალე ავგუსტუსი ცხოვრობს. ოქტავიანემ წარსულში ბევრი შეცოდება ჩაიდინა, ოქტავიანემ მოკლა თავისი აღმზრდელი ტორანიუსი. მაშინ, როცა იმპერატორი აცნობიერებს, რომ ყველასაგან მიტოვებული სრულიად მარტო დარჩა, იგი მორალური კრიზისს განიცდის, რის შედეგად მასში იბადება ოქტავიანესაგან განსხვავებული პიროვნება- ავგუსტუსი. იმპერატორი საკუთარ თავში კლავს მოძალადე ოქტავიანეს და შინაგანი ტრანსფორმაციის გზით ხდება გმირი ავგუსტუსი, რომელიც უარს ამბობს ძალმომრეობაზე. ავგუსტუსი ხვდება, რომ ხალხის კეთილგანწყობისა და ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის საჭიროა არა სისასტიკე, არამედ კაცთმოყვარე, ღმობიერი, გული, რომელსაც შეწყალება არ გაუჭირდება. ავგუსტუსის სახეცვლილებასა და მორალურ ტრანსფორმაციას განაპირობებს არა მხოლოდ სულიერი მარტოობისა და მიტოვებულობის გრძნობა, არამედ პოლიტიკური სტაბილურობის სურვილი სახელმწიფოში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, „ცინას“ ყველა მთავარი მოქმედი პირი საკუთარი წარსულის ტყვეა. მათი სიძულვილი და შურისძიების სურვილი გამოწვეულია წარსულის რემინისცენციებით. სიძულვილი და შურისძიება დროში უცვლელია. ასევე უცვლელია ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირის ემილიას პოზიციაც. I მოქმედების II სცენაში ემილია ამბობს: „Je suis ce que j'étais” („მე ვარ ის, რაც ვიყავი“). III მოქმედების III სცენაში III იგი კვლავ იმეორებს: „Je suis toujours moi-même, et mon coeur n'est point autre” („მე მუდამ იგივე ვარ და ჩემი გული უცვლელია“). ემილიას სიძულვილი იმპერატორისადმი უცვლელია, მანამ, სანამ ეს უკანასკნელი გულმოწყალებას არ გამოიჩენს ემილიასა და დანარჩენ შეთქმულთა მიმართ. იმპერატორ ავგუსტუსის გულმოწყალება ერთადერთი ჟესტია, რომელსაც სიძულვილისა და შურისძიების ყინულის გალხობა და ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნა შეუძლია. იმპერატორ ავგუსტუსის მეუღლე- ლივია გულმოწყალების მნიშვნელობას შესანიშნავად განსაზღვრავს V მოქმედების III სცენაში. აი, რას ეუბნება იგი ავგუსტუსს:

Après cette action vous n'avez rien à craindre,

On portera le joug désormais sans se plaindre: (...)1757-1758

Jamais plus d'assassins, ni de conspirateurs :

Vous avez trouvé l'art d'être maître des cœurs.(...) 1763-1764

ამგვარი ქმედების შემდეგ აღარაფრის გეშინოდეს,

ამიერიდან ცხოვრების უღელს მსუბუქად ვზიდავთ.

(... ) აღარც მკვლელები არიან და აღარც შეთქმულნი.

თქვენ მათი გულები ოსტატურად დაიმორჩილეთ.

ასე რომ, იმპერატორის გულმოწყალებამ ქვეყანაში მშვიდობისა და ერთიანობის წინაპირობა შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ღალატით სასოწარკვეთილი ავგუსტუსი საშინელ ემოციურ სიცარიელეს განიცდიდა. შეთქმულთა შეწყალების შემდეგ ეს სიცარიელე შეივსო, იმპერატორმა მოიპოვა რომაელთა სიყვარული და მის სულში სიმშვიდემ დაისადგურა. ამიერიდან მთელი რომი ბედნიერია. ტრაგედიის ბოლოს იმპერატორის გონიერი მეუღლე და მრჩეველი ლივია ამბობს, რომ ავგუსტუსის „სათნოებებმა” რომაელებს ბევრი რამ ასწავლა, მთელი რომი სიხარულით ემორჩილება მის მმართველობას.

Vos royales vertus lui vont trop enseigner



Que son bonheur consiste à vous faire régner. (v.1767 -1768 )

თქვენმა მეფურმა სათნოებებმა მას, (რომს) ბევრი რამ ასწავლა.

ასწავლა, რომ მისი ბედნიერება თქვენს მეფობაზეა დამოკიდებული.

ლივიას სიტყვები გამოხატავს თავად პიერ კორნელის თვალსაზრისს ჰუმანური სახელმწიფო მმართველის შესახებ. პიერ კორნელი თვლის, რომ გულმოდგინედ იმპერატორი ღმერთებისგან კურთხეულია, მისი სახელი შთამომავლობას გადაეცემა და მათ ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება. ავგუსტუსის გულმოდგინება ყველა ქვეყნის ხელისუფალთათვის მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ამალდნენ საკუთარ ამბიციებზე, მიაღწიონ სულიერ კათარზისს, იყონ ღმობიერნი და მოწყალენი ქვეშევრდომთა მიმართ. ავგუსტუსის მოწოდებას ცინასადმი "Soyons amis, Cinna!" (v.1701), („მოდით, ვიყოთ მეგობრები, ცინა!") პოლიტიკური, ფილოსოფიური და მორალური მნიშვნელობა აქვს.

სენეკა თავის ტრაქტატში - „გულმოდგინების შესახებ“, რომელიც პიერ კორნელის „ცინას“ სიუჟეტურ წყაროს წარმოადგენს, აღნიშნავს, რომ მოწყალეობა არის სათნოება, რომლის საშუალებით ბრძენი სტოიციისტი ვნებებზე იმარჯვებს. ემილიასა და ცინას შურისძიების ვნებით სავსე " la grandeur d'âme"- სულის სიდიადეს ავგუსტუსი თავის „დიდსულოვნებას",- „la magnanimité უპირისპირებს (Fumaroli, 1996: 322-348).

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო ომებით დაღლილი ტირანი იმპერატორი ავგუსტუსი საკუთარ თავთან და დედოფალ ლივიასთან საუბრის შემდეგ ანალიზებს რა თავის საქციელს, განიცდის მორალურ და სულიერ მეტამორფოზას და გადაიქცევა ლეგიტიმურ მონარქად, რომელსაც შეუძლია გულმოდგინების გზით უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილურობა და მშვიდობა სახელმწიფოში.

**დასკვნა.** ხოტბას ასხამს რა იმპერატორ ავგუსტუსის გულმოდგინებას პიერი კორნელი გვიჩვენებს, რომ გულმოდგინედ და ჰუმანური სახელმწიფო მმართველი ქვეშევრდომთა პატივისცემას სიყვარულსა და ერთგულებას იმსახურებს. იმპერატორ ავგუსტუსის გულმოდგინება მთელი კაცობრიობისათვის მაგალითია. სწორედ ამიტომ, პიერ კორნელის „ცინა“ მიიჩნევა არა მხოლოდ ფრანგული კლასიციისტური ტრაგედიის შედეგად, არამედ ერთერთ ჰუმანურ ნაწარმოებად დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ისტორიაში.

სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ იმპერატორი ავგუსტუსი პირად წყენას ივიწყებს, შეთქმულთ მიუტევებს და ამ გზით მოწინააღმდეგეთა გულებს საბოლოოდ მოიგებს. იმპერატორი ავგუსტუსი გულმოდგინებით სიბრძნისა და შურისძიების ვნებებზე.

ამგვარად, იმპერატორ ავგუსტუსის გულმოდგინებას დიდი ჰუმანისტურ-მორალური მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფო მმართველის გულმოდგინება ადასტურებს, რომ შურისძიების კანონი პატიების ეთიკით იცვლება, ხოლო მტრობასა და ღალატზე ძლიერი სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობაა. ავგუსტუსის სახეში შერწყმულია მორალურად ამალდებული გმირისა და გონიერი მმართველის თვისებები. იმპერატორის სულის სიდიადე სწორედ მის გულმოდგინებაა.

იმპერატორ ავგუსტუსის მორალურ- ფილოსოფიური აღმოჩენაა ის, რომ საერთო - სახალხო სიკეთე პირადი სიმშვიდის გარანტიაა, სწორედ ამიტომ, იგი ცვლის სტრატეგიას და დასჯის სანაცვლოდ გულმოდგინებას მიმართავს, რაც საზოგადოების მხრიდან მისადმი სიყვარულს, პატივისცემასა და დაფასებას იწვევს.

## REFERENCES

- André, G. (1982) *L'Evolution morale d'Auguste dans Cinna*. Paris: L'Information littéraire.
- Brown, R., & Gilman, A. (1960). The Pronouns of Power and Solidarity. In T.A. SEBEOK (éd.), *Style in Language*. Cambridge: MIT Press.
- Corneille, P. (1987). *Œuvres complètes*. Éd. G. Couton, 3 vol. Paris: Gallimard.
- Corneille, P. (1999) *Discours de l'utilité et des parties du poème dramatique*. Éd. par Bénédicte Louvat et Marc Escola, Paris: GF Flammarion.
- Corneille, P. (2005). *Cinna*. Paris: Hachette.
- Doubrovsky, S. (1963) *Corneille et la dialectique du héros*. Paris: Gallimard.
- Fumaroli, M. (1996). *L'héroïsme cornélien et l'éthique de la magnanimité*, dans *Héros et orateurs*. Genève: Droz, coll. « Titre courant ».
- Gossip, C. (1994) *La clémence d'Auguste, ou pour une interprétation textuelle du Cinna de Corneille*. XVIIe Siècle, juillet-septembre, n° 184, p. 547-554
- Herland, L. (1961). *Le pardon d'Auguste dans Cinna*. La Table ronde, février. n° 15, p. 113-126.
- Leiner, W. (2002). *Dans Onze études sur l'image de la femme...* Tübingen, Gunter Narr Verlag, RHLF, N° 3.
- Sengler, LE P. A. (1885). *Perfection croissant LE P. A. de la Compagnie de Jésus*. Théâtre choisi de P. P. Corneille. Première partie. Édition classique. Paris: Librairie de J. Lefort.
- Venesoen, C. (1991). *Cinna et les avatars de l'héroïsme cornélien*. Papers on French Seventeenth Century Literature, vol. XVIII, n° 35, p. 359.